



აპრილი 2019

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა №6

## ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რუსეთ-საქართველოს შეთანხმება და მისი გავლენა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე

2011 წელს რუსეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმებამ რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ გზა გაუხსნა. შეთანხმების მიხედვით, საქართველომ და რუსეთმა, [2017](#) და [2018](#) წლებში, ხელი მოაწერეს კონტრაქტებს ნეიტრალურ კერძო კომპანია Société Générale de Surveillance SA- SGS-თან. ხელმოწერილმა კონტრაქტებმა შეთანხმების პრაქტიკული იმპლემენტაციისთვის [შექმნა საფუძველი](#).

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის თხოვნით, ექსპერტებმა გაერთიანებული სამეფოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან მიმოიხილეს შეთანხმების განხორციელების გავლენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და ფართო რეგიონზე. უფრო კონკრეტულად კი, ექსპერტებმა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რა გავლენა აქვს [შეთანხმების იმპლემენტაციას] საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე?
- რა გავლენა ექნება შეთანხმების განხორციელებას ფართო რეგიონზე?
- რა არის შეთანხმების იმპლემენტაციის ხელისშემშლელი ფაქტორები?
- შეთანხმების განხორციელების შემთხვევაში, რა სარგებელს ნახავენ დაინტერესებული მხარეები?

*პროფ. სტეფან ვოლფი, პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო კვლევების დეპარტამენტი, ბირმინგემის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო*

შიდ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც 2011 წლის 9 ნოემბერს საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმებამ რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წევრობის გზა გაუხსნა, თუმცა, შეთანხმების სრული, პრაქტიკული იმპლემენტაცია ჯერ კიდევ მისაღწევია. შეთანხმების თანახმად, შეირჩა ნეიტრალური კერძო კომპანია (Société Générale de Surveillance SA - SGS) შეთანხმებულ სამსაჯარო კორიდორში შემავალი და გამავალი ტვირთის მონიტორინგის მიზნით და საქართველომ და რუსეთმა ინდივიდუალურად მოაწერეს ხელი კონტრაქტებს ამ კომპანიასთან. თუმცა, რადგან ორი საჯარო კორიდორი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებზე გადის, ოფიციალური პირები სავარაუდოდ აჭიანურებენ შეთანხმების სრულ იმპლემენტაციას. ეს კი კავკასიისა და უფრო ფართო რეგიონის ეკონომიკური დაკავშირებისთვის მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს. სამივე საჯარო კორიდორის გახსნა რეგიონის შიგნით და რეგიონებს შორის ვაჭრობას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს, განსაკუთრებით სომხეთს, საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო საიმედო სახმელეთო კავშირის შექმნით და ამ შესაძლებლობის ირანსა და სპარსეთის ყურეზე გავრცელებით. ამასთან, კორიდორების გახსნა რუსეთს, საქართველოსა და თურქეთს შორის მდგრადი სახმელეთო კავშირისა და რუსეთისთვის კავკასიის გავლით

ჩინეთის „სარტყელისა და გზის ინიციატივასთან“ დაკავშირების შესაძლებლობას შექმნიდა. ამგვარი საჯარო კავშირის ეკონომიკური და სოციალური უპირატესობები, ისევე როგორც სატრანსპორტო კორიდორების არარსებობით ან მათი სეზონური უფუნქციობით გამოწვეული ეკონომიკური იზოლაციის საზიანო შედეგები, კარგად არის ცნობილი.

შეთანხმების იმპლემენტაციის შედეგად მიღწეული დადებითი ეკონომიკური და სოციალური ასპექტების გარდა, სათანადოდ უნდა შეფასდეს იმპლემენტაციისა და მისი განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოშობილი პოლიტიკური წინააღმდეგობები. მიუხედავად იმისა, რომ არასწორი იქნება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის მოლოდინის შექმნა, შეთანხმების იმპლემენტაცია მნიშვნელოვანი მიღწევა იქნებოდა იმ დამაზიანებელი პროცესის სამართავად, რომელიც 2008 წლის ომსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით რუსეთის შემდგომ გადაწყვეტილებას მოჰყვა. იმის გათვალისწინებით, რომ არცერთი რეგიონი შეთანხმების მხარეს არ წარმოადგენს, შეთანხმება არ არის მხოლოდ სტატუსნეიტრალური დოკუმენტი, რადგან იგი ერთ მხრივ ადასტურებს საქართველოს უფლებამოსილებას გააფორმოს ისეთი შეთანხმებები, რომლებიც მის საერთაშორისოდ აღიარებულ მთელ ტერიტორიაზე გავრცელდება და მეორე მხრივ, მიანიშნებს რუსეთის მხრიდან ამ ფაქტის სულ მცირე არაპირდაპირ აღიარებაზე. ამასთან, შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრაქტიკული სირთულეები ხაზს უსვამს იმას, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ

ოსეთში არსებულ სიტუაციას ამ პროცესზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ბერკეტი აქვს, რაც არაღიარებული სტატუსის შეცვლის მიზნით მათ მოლაპარაკებების ინსტრუმენტად შეიძლება გამოიყენონ.

საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მათ შორის საქართველოსა და რუსეთისთვის, ფუნდამენტური გამოწვევად რჩება ის, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ამ ორ ტერიტორიულ ერთეულში ლიდერების სტიმულირების სისტემა ისე, რომ ხელი არ შეეშალოს შეთანხმების იმპლემენტაციას, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა კავკასიის რეგიონში ეკონომიკური ურთიერთკავშირის მაღალი ხარისხის მიღწევისა და მასთან დაკავშირებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიღებისთვის.

---

**დოქტ. ვუგარ ბაირამოვი, საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცენტრი (CESD), ბაქო, აზერბაიჯანი**

იმის ალბათობა, რომ ეს შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, მინიმალურია. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებას ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაზე დადებითი გავლენა ექნება, უსაფრთხოებისა და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთი საქართველოს ორ ოკუპირებულ ტერიტორიასთან მიმართებაში პოზიციას არ შეიცვლის.

უფრო ფართო რეგიონზე შეთანხმების ძირითადი გავლენა ვაჭრობის ზრდა იქნება. ორი დამატებითი სატრანზიტო კორიდორი ხელს შეუწყობს და გაზრდის ვაჭრობას ჩრთილოეთიდან სამხრეთით და პირიქით. ეს

გულისხმობს არამხოლოდ ვაჭრობას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის, არამედ ვაჭრობას თურქეთისა და ირანის მსგავს უფრო დიდ ბაზრებთან.

საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგობრივი პოზიციები ადგილზე ლოგისტიკურ პრობლემებში გადაიზრდება. რადგან რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, ის საქართველოსა და აღნიშნულ ტერიტორიებს შორის საზღვარზე საბაჟო პუნქტების გახნას შეთანხმების ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად აღიქვამს. საქართველოსთვის ეს ოკუპირებული ტერიტორიების დე-იურე აღიარების ტოლფასი იქნებოდა. ამასთან, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ შეთანხმებას, რომელშიც ისინი ჩართულები არ იქნებიან. თუმცა, რუსეთზე მათი ცალმხრივი დამოკიდებულება ნიშნავს იმას, რომ ეს ორი რეგიონი პროცესს ხელს ვეღარ შეუშლის იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა საქართველოსთან არსებული განსხვავებების აღმოფხვრა საბოლოოდ შეძლო.

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საქართველოს რუსეთთან ინტენსიური ვაჭრობა აკავშირებს, შეთანხმება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას და ქვეყნისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს გააჩენს. რუსეთისთვის, საქართველოსთან გაზრდილი ვაჭრობა, რომელიც პოტენციურად საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის ხარჯზე მოხდება, მეზობელზე პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტის გაძლიერების საშუალება იქნება. სომხეთი უმთავრეს სავაჭრო პარტნიორთან ორი დამატებითი სატრანზიტო კორიდორის არსებობით ისარგებლებს.

*რიჩარდ გირაგოსიანი, დირექტორი, რეგიონული სწავლების ცენტრი (RSC), ერევანი, სომხეთი*

2011 წლის შეთანხმება, რომელმაც რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას შეუწყო ხელი, მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიზეზით. პირველი, ეს იყო იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, როდესაც რუსეთს საქართველოს დახმარება უნდოდა და სჭირდებოდა, რადგან საქართველოს თანხმობა რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების წინაპირობა იყო.

მეორე, შეთანხმების იმპლემენტაცია, რომელიც ნეიტრალურ კერძო კომპანიასთან (SGS) ხელმოწერილ შეთანხმებებს ეფუძნება, მნიშვნელოვანი საშუალებაა იმის გასაზომად, თუ რამდენადაა რუსეთი მის მიმართ არსებულ მოლოდინებთან თანხვედრაში. ცხადია, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია და მასთან დაკავშირებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ არღვევს როგორც შეთანხმებისა და იმპლემენტაციის კონტრაქტის პირობებს, ისე, რაც კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებს.

რუსეთის მხრიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პირობის დარღვევის ფაქტი ვრცელდება უფრო ფართო რეგიონზე. მაგალითად, თურქეთის გადაწყვეტილება სომხეთთან საზღვრის დაკეტვასთან დაკავშირებით, ასევე არღვევს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებს.

თუმცა, საქართველოზე უფრო კონკრეტული გავლენის თვალსაზრისით, შეთანხმებით წარმოდგენილი ძირითადი პრინციპები რუსეთისთვის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს მის მიმართ არსებული მოლოდინების გასამართლებლად. თუმცა, ეს პუტინის მთავრობის პირობებში ნაკლებად სავარაუდო სცენარია.

მიუხედავად ამისა, უფრო ფართო კონტექსტში, შეთანხმება აჩვენებს საქართველოს მზადყოფნას რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის ეკონომიკური სტიმულის გასაზრდელად, და ქმნის უფრო სერიოზულ სტიმულს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის, რომლებიც იმედგაცრუებულები არიან რუსეთის მხრიდან დაპირებული ინვესტიციებისა და განვითარების არარსებობით.

---

*დოქტორი თორნიკე თურმანიძე, პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

რუსეთ-საქართველოს შორის 2011 წელს გაფორმებული შეთანხმება საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება იყო აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული მცირე ხნიანი “გადატვირთვის” პოლიტიკის ერაში - როდესაც ობამას ადმინისტრაცია რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას უჭერდა მხარს და ამისათვის საქართველო ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო.

ჩემი აზრით, საქართველოსთვის 2011 წლის შეთანხმების ყველაზე დიდი მიღწევა იყო ის, რომ შეთანხმების პირობებით, რუსეთი იღებდა ვალდებულებას ნეიტრალური მესამე მხარისათვის (ამ შემთხვევაში შვეიცარული კომპანია SGS-სთვის, რომელთანაც ორივე მხარემ მოაწერა კონტრაქტს ხელი 2017-2018 წლებში) გადაეცა ინფორმაცია ორ ქვეყანას შორის განთავსებული სამი სავაჭრო კორიდორის, მათ შორის რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ

ოსეთის გავლით შემავალი და გამავალი ყველანაირი ტვირთის შესახებ. შედეგად, საქართველომ მოიპოვა უფლება წვდომა ქონდეს რუსეთთან ქვეყნის საზღვრის ყველა მონაკვეთზე გამავალი ტვირთის შესახებ მონაცემებზე.

როგორც ჩანს, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ აჭიანურებს რუსეთი შეთანხმების იმპლემენტაციას ბოლო 6 წლის მანძილზე, და სამწუხაროდ, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება საკმარისად აქტიურად არ ითხოვს რუსეთის მხრიდან ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ფორმატში ვალდებულებების დროულ შესრულებას. ამის ნაცვლად, ქვეყანამ თანხმობა განაცხადა საკითხის ორმხრივ - აბაშიძე-კარასინის ფორმატში განხილვაზე, სადაც არ არის ჩართული ნეიტრალური მესამე მხარე და საქართველო რუსეთის წნეხის პირისპირ დაუცველი რჩება.

ახლა, როდესაც ორივე მხარემ დაასრულა 2011 წლის შეთანხმების პრაქტიკაში განხორციელებისათვის საჭირო ყველა პროცედურა, მიმაჩნია, რომ რუსეთი გამოიყენებს ტრადიციულ, საუკუნეების მანძილზე დაცდილ დიპლომატიურ ფანდს შეთანხმების პირობების არასწორი ინტერპრეტაციით წარმოსადგენად და იმის საჩვენებლად, რომ რუსეთი დოკუმენტის პირობების დარღვევის ნაცვლად, ამ პირობებს სრულად ასრულებს. უფრო კონკრეტულად, რუსეთი სავარაუდოდ უარს იტყვის შვეიცარული კომპანიისთვის (და შესაბამისად საქართველოსთვის) აფხაზეთისა და ცხინვალის

რეგიონში/„სამხრეთ ოსეთში“ - განსაკუთრებით ამ ტერიტორიებზე უკანონოდ არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე - გატარებული ტვირთის შესახებ მონაცემების გაცემაზე იმ მიზეზით, რომ ეს ან “სავაჭრო საქონელი” არაა, ან ამ საქონლის ტრანსპორტირება ხდება არა საქართველოში, არამედ სხვა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებში“ და შესაბამისად, ეს შეთანხმების პირობებით არ იფარება.

თუკი ეს მოლოდინი გამართლდა, საქართველოს მთავრობისთვის საჭირო გახდება რუსეთის მთავრობასთან ახალ დიპლომატიურ ჭიდილში ჩართვა ყველა შესაძლო ფორმატში, მათ შორის 2011 წლის შეთანხმებით განსაზღვრული საერთო კომიტეტის ფარგლებში.

რადგან შეთანხმებაში არ არის აღნიშნული, რომ სამი სავაჭრო კორიდორი ავტომატურად იქნება გამოყენებული მესამე ქვეყანაში სატრანზიტო გზად (მაგალითად, რუსეთიდან საქართველოს გავლით სომხეთში მოძრავი ტვირთი), თუმცა არსებული სავაჭრო რეჟიმი შესაძლოა ასეთი შეთანხმების მოლაპარაკების საფუძველი გახდეს, მიმაჩნია, რომ თბილისმა მოსკოვთან ამ ახალი შესაძლებლობის განხილვა მხოლოდ მას მერე უნდა დაიწყოს, თუ კი, და როდესაც, რუსეთი 2011 წლის შეთანხმების ვალდებულებებს სრულად შეასრულებს.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

*„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რუსეთ-საქართველოს შეთანხმება და მისი გავლენა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე“.* ექსპერტთა კომენტარი #6, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, აპრილი 2019.